

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია, საჯარო სკოლების მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დროულად შეთანხმების წესის დარეგულირება და გამარტივება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 43-ე მუხლებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მე-17-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სკოლა განსაზღვრავს სკოლის საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს, რასაც იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების საფუძველზე.

ვინაიდან, კანონით დადგენილი არ არის საჯარო სკოლის მიერ წარდგენილი საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების ვადები, ამიტომ ხშირ შემთხვევაში საჯარო სკოლები ხელფასის გაცემას ვერ ახერხებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ახალი საშტატო განრიგით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც დარეგულირდება და გამარტივდება შეთანხმების მიღწევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საჯარო სკოლას შორის.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, საჯარო სკოლების მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენისა და დროულად შეთანხმების წესის დარეგულირება და გამარტივება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, განისაზღვრება საჯარო სკოლების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენილი საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების ვადები, რაც გაამარტივებს შეთანხმების მიღწევას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციისა და მოქმედი კანონმდებლობისადმი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის შემუშავებაში:

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო